ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვა

ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის, სისტემის ადმინისტრირებისა და თითოეული სტრუქტურული ერთეულის/დასაქმებულის ფუნქციათა აღწერილობა განსაზღვრულია **„ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“** ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 18 ოქტომბრის N01-08/136 ბრძანებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 24) და** „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 2).**

ბსუ-ში სტუდენტთა ელექტრონული სერვისებია: სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - **spm.bsu.edu.ge** (შემდეგში –„სისტემა“) და სტუდენტური პორტალი - **portal.bsu.edu.ge** (შემდეგში - „პორტალი“).

სტუდენტური სერვისების მართვის ელექტრონული სისტემის (portal.bsu.edu.ge) - სტუდენტური პორტალის მართვა და ადმინისტრირება ხორციელდება ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ, ხოლო პორტალის ტექნიკური ნაწილის გამართულად ფუნქციონირებას კოორდინაციას უწევს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

ბსუ-ს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და აკადემიური პერსონალი უფლებამოსილნი არიან დარეგისტრირდნენ სტუდენტურ პორტალზე. რეგისტრაციის პროცესის გამართულ მუშაობას კოორდინაციას უწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.

სტუდენტური პორტალის მეშვეობით, ბსუ-ს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სისტემაში, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში ხელმისაწვდომი იქნება ისეთი სახის მომსახურებები (სერვისები) როგორიცაა:

ა) სტუდენტის განცხადების საფუძველზე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის ან/და გავლილი კრედიტების შესახებ ცნობების, ასევე რეკომენდაციების გაცემის პროცედურა;

ბ) სტუდენტის განცხადების საფუძველზე, ბსუ-ს დიპლომის სტანდარტული დანართით/სერტიფიკატის/მოწმობის გაცემის პროცედურა;

სტუდენტური პორტალის მეშვეობით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა მიიღოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) ბსუ-ში მიმდინარე სიახლეების შესახებ;

ბ) საუნივერსიტეტო, სხვადასხვა საერთაშორისო სტიპენდიების, ადგილობრივი სამთავრობო სტიპენდიების შესახებ;

გ) საერთაშორისო და ეროვნული (ადგილობრივი) კონფერენციების შესახებ;

დ) ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო/სამეცნიერო/კულტურული ან/და სპორტული ჯგუფების შესახებ;

ე) საჯარო ლექციების, შეხვედრების, ტრენინგებისა და სემინარების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ;

ვ) საუნივერსიტეტო პროექტების/პროგრამების შესახებ;
ზ) სხვადასხვა კონკურსების ან/და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ;
თ) ბსუ-ში მიმდინარე კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ;
ი) შიდა საუნივერსიტეტო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან/და საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გამოცხადებული, საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი სოციალურ პროგრამების შესახებ;
კ) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო სხვა საკითხების შესახებ.

სტუდენტურ პორტალზე რეგისტრირებული პოტენციური დამსაქმებელი უფლებამოსილია პორტალზე განათავსოს ვაკანსიები და გაეცნოს პორტალზე რეგისტრირებულ ბსუ-ს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა CV-ებს.

სისტემაში ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, ამ თავით განსაზღვრულმა სტრუქტურულმა ერთეულებმა/პირებმა და **სტუდენტებმა 5** სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა მიმართონ ბსუ-ს ადმინისტრაციას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.